ოქმი №11

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 18 ოქტომბერს.

სხდომა დაიწყო 11:00 საათზე, დამთავრდა 11:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ი. კალანდარიშვილი, შ. კოკაია, ი. ცხვიტავა, გ. წურწუმია, კ. ტორჩინავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატესტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: თ. კუბეცია.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ტურიზმის განვითარების კუთხით 2024 წლის I II და III კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურისუფროსი: მ. ჯანაშია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 4; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ტურიზმის განვითარების კუთხით 2024 წლის I II და III კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ ტურიზმის განვითარების კუთხით 2024 წლის I, II და III კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: მ. ჯანაშია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე".

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.04.21.806 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე" წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე: ბადრი ხურცია